

ბარღამავალ ზმნათა მეორე თურმეობითის  
წარმოება ახალ ქართულში

მეორე თურმეობითი შედარებით ახალი ფორმაციის ნაკვთია<sup>1</sup>. გარდამავალი ზმნის მეორე თურმეობითი წარმოებით ემთხვევა დინამიკური ვნებითის ორპირიანი ზმნის ნამყო ძირითადს (ე- პრეფიქსით ნაწარმოებს) და იზიარებს ყველა მის თავისებურებას: ფუძე და ნაკვთის ნიშნები აქ იგივეა, რაც იმავე ზმნის ნამყო ძირითადში, ოღონდ ინვერსიულად<sup>2</sup>. გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითში რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას, რეალური ობიექტი — სახელობითში, ვნებითის ნამყო ძირითადში კი რეალური სუბიექტი სახელობითშია, რეალური ობიექტი — მიცემითში. შდრ. ნამყო ძირითადი — **ღაემალა ის მას**, მეორე თურმეობითი — **ღაემალა მას ის**.

მინდოდა კარი გამელო მისთვის (ხ. შანუ.).

მოსეს მაყრონისათვის ცხენები დაემალა (ილია).

გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითის ნიშნებია: 0 (ნული), უფუნქციო ი და ე სუფიქსი. როგორც ცნობილია, ამ ნიშანთაგან ი ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული, შემდეგ ნართაულადაა ქცეული<sup>3</sup>, ხოლო -ე სუფიქსი იმავე ოდენობადაა მიჩნეული, რაც ნამყო ძირითადის -ე სუფიქსია<sup>4</sup>.

1 ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 73, უნუ. 2.

2 ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 10; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 449-450.

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 433, 430; ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის: იპმ, VII, 1955, გვ. 453.

4 ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 183.

ქალს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მოლხენაში (დ. კლდ.).  
ნოდარი სვერში გამოეგზავნათ (მ. ჯავახ.).  
მას ლავაშივით უხდა გავექარი მიწაზე (გ. ნატრ.).  
ვთხოვე მათ, რაჟაში გავეშვი (ს. კლდ.).  
გენერალს დავებარებინე (ა. ფურც.).  
ვერ შევძელი არ მენახეთ ჩემი ძვირფასნი (ვ. ბარნ.).

ე ნიშნიან ფორმთაგან მეორე თურმეობითში თავისებურებას ამჟღავნებს ქვემოთ ჩამოთვლილი ზმნები:

გორში ჩამოვედი, უნდა მე ნახევით (ი. გოგებ.).  
ამ სოფელში... ვერც ბიჭი დაიწერდა ჯვარსა, რომ მე მაყრად არ დავეძახე-  
ვით (ნ. ლომ.).  
შვილო, ... ერთიც ვნახოთ ციხეში დაელპევით (ი. ეკალ.)<sup>5</sup>.

სალიტერატურო ქართულში დადასტურებული ეს წარმოება (მენახევი) გვხვდება პერსონაჟის მეტყველებაში და მისი საფუძველი ჩანს ქართლური დიალექტი, სადაც ნამყო ძირითადის ფორმაში მსგავსი კონსტრუქცია დღესაც არაა იშვიათი (მაგ.: ლექსი ვერ გადაუწერევი: ქართ. დიალექტ. 283; კატა გავყიდევი: იქვე, 298).

მენახევი-ს ტიპის მეორე თურმეობითი თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისევე აღარ იხმარება, როგორც ვნახევი-ს ტიპის ნამყო ძირითადი.

თუ ძველ ქართულში ყველა ტიპის გარდამავალი ზმნისათვის მეორე თურმეობითში დამახასიათებელი იყო დინამიკური ვნებითის ორპირიანი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმაზე დაყრდნობილი წარმოება<sup>6</sup>, ახალ სალიტერატურო ქართულში დასახელებული ნაკვთი აღარ აჩვენებს ასეთ ერთგვარობას (აქ მხედველობაში გვაქვს ებ ნიშნიან ზმნათა სუფიქსიანი და უსუფიქსო წარმოება).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითი სუფიქსით მაშინაა წარმოდგენილი, თუ ის ეყრდნობა -ებ სუფიქსიან პირველ თურმეობითს. ამის შედეგად აქაც იჩინა თავი -ებია დაბოლოებამ, რომელსაც ზოგიერთმა კილომ ჩაურთო ნ და მივიღეთ -ებინა<sup>7</sup>. ეს უკანასკნელი წარმოება სალიტე-

<sup>5</sup> ანალოგიური წარმოების ნიმუშია ჩაეგდევით: ბატონს... ციხეში ჩაეგდევით. საქ. სოფ. II, 73 (1656 წ.).

<sup>6</sup> Д. О. Гецадзе, Формы III группы времен и наклонений переходных глаголов в древнегрузинском языке. Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1953.

<sup>7</sup> ა. შანშიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 453.

რატურო ენამ დაამკვიდრა ერთადერთ მართებულ ფორმად<sup>8</sup>, როგორც გაბატონებული სახეობა მოხმარების თვალსაზრისით:

გული აღარ იყო, რომ შემეწუხებინა მამაჩემი (წ. ბარათ.).

მინდოდა ცხენი პატარა მეტარებინა (ილია).

თქვენ დაგეპარებინეთ (ა. ყაზბ.).

მორიგეს ჯერ არ აესრულებინა თავისი რიგი (დ. ჭონქ.).

ბერიკაცის ხელს... ბილიკი გაევაკებინა და გაეფართოებინა

(გ. შატბ.).

გივლას ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა (ბ. ჩხიკვ.).

ზაჩანას დიდი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა, რომ ხალხის ნდობა დაემსახურებინა ((მ. ზანდ.).

მაშასადამე, -ებ სუფიქსიან თურმეობით პირველზე დაყრდნობილი გარდამავალ ზმნათა თურმეობითი მეორე, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია -ებინა დაბოლოებით. მიუხედავად ამისა, წარმოების ეს ტიპი ახალ ქართულში უგამონაკლისო როდია: დასახელებული -ებინა სუფიქსის პარალელურად -ებიაც დასტურდება, მეტწილად დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში, თუმცა თანამედროვე მწერლები მას შედარებით იშვიათად ხმარობენ.

მზად ვიყავი... სიცოცხლე სიღარიბეში გამეტარებია (აკაკი).

ნეტა გეთხოვებია დალრცივლს ამდენ ხანს (წ. ლორთქ.).

გულქანს დაწოლის წინ ლოგინი [უნდა] გაესწორებია (გ. წერეთ.).

კვარი წინაპარს დაემზადებია (ჭ. ლომთ.).

ქეთევანი... დაეპატიმრებიათ (მ. გარიყ.).

გდავწყვიტე... დამეთვალთვლებია მათი განყოფილება (უიარ.).

მოხუცს ფიქრადაც არ მოსვლია... ქალი შეეჩერებია (კ. ლორთქ.).

ამ ჰაერით შეიძლება ერთი დამე გაგეთენებია (ო. იოს.).

პაპუნამ მსახურთ უბრძანა ვახშაში დაეჩქარებიათ (ა. ბელ.).

ყაფლანს უნდოდა... გვარი მოეგონებია (რ. გვიტ.).

მინდოდა ნაბადი მომეცილებია (დ. შენგ.).

სტამბის პატრონს აეჭრელებია და გაელამაზებია აფიშა

(ბ. კლდ.).

ტასიას ერთი ბოთლი... გულზე მიეხუტებია (ლ. ქიან.).

დელას თვალი ვეღარ მოეშორებია იმ ბუღისაგან (ი. მაჭავ. თარგმ.).

ბაგრატიონს... უნდოდა შთაეგონებია მეგობრისათვის (ი. აგლ. თარგმ.).

ნერსე იძულებული შეიქმნა ქართლი მიეტოვებია (კ. კეკ.).

მინდოდა მეჩვენებია სოციალური უკუღმართობა („საქ. ქალი“).

რატომ უნდა გამომემქლავებია სიმპათია („დროშა“).

<sup>8</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 453; ვ. თოფურია, ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, 1964, გვ. 24; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 218-219.

-ებია დაბოლოება ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებშიც შეინიშნება:

მძღოლებს ხელები დაეკაპიწებიათ (მის. მრევლ.).

ქალბატონს უნდოდა გადაესხვა ფერებია სიტყვა (დ. ჭონქ.).

შვილო, არ ვიცოდი რა მეფე შექაშებია შენთვის (ეკ. ვაბ.).

გაზაფხულის მზეს ქვეყანა გაებრწყინებია (ს. მგალობ.).

შინდოდა თქვენთვის მეხარებია (გ. ერისთ.).

არ შემეძლო არ გამეხსენებია ეს ამბავი (გ. ნატრ.).

ამგვარად, ახალ ქართულში, ძველისაგან განსხვავებით, გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითში -ებ სუფიქსიანი ზმნებისათვის გამოყენებულია პირველი თურმეობითის ფუძე და ასეთ კონსტრუქციისში ზოგჯერ გვაქვს პარალელური ფორმები: დაემტკიცებინა || დაემტკიცებია. დგება საკითხი: რომელი საუკუნიდან მკვიდრდება ქართულში თითოეული ეს ფორმა?

ამ თვალსაზრისით საშუალო საუკუნეთა ქართულის ზოგიერთი ისტორიული თუ ლიტერატურული მასალის განხილვა დაახლოებით ასეთ სურათს უჩვენებს: XII—XIV სს. ძეგლებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითი აღმოსავლეთ ფუძედ კვლავ ნამყო ძირითადად იყენებს, აქ ჯერ კიდევ მოქმედია ძველი წარმოება (მაგ.: ბარდავს დაებანაკათ... მთავართან: უამთა-აღმწ., 189; პატრონსა ებოძა მამული შენთვის: საქ. სიძვ. II, 9). მხოლოდ შემდგომი პერიოდიდან (XV—XVI სს.) იჩენს თავს აქაიქ წარმოების ახალი ტიპი (-ებ სუფიქსიან თურმეობით პირველზე დაყრდნობილი) და ფორმდება -ებინა დაბოლოებით. XVII—XVIII სს. პროზისა და ისტორიული მასალების მიხედვით ასეთი წარმოება უკვე უფრო გავრცელებულია მის გვერდით არსებულ არქაულ წარმოებასთან შედარებით:

ქიცი უკაცრული ეკადრებინა მას (საქ. სიძვ. II, 60).

როსტომ მეფეს ვახტანგი ეშვილებინა (ქართ. ცხ. 433).

იმერელი... მეზურეთ დაეყენებინა (დოკუმენტ. I, 366).

მანუჩარს ეს ვერ გაემჟღავნებინა (რუსულდ.).

ახალ სალიტერატურო ქართულში -ებინა დაბოლოებიანი მეორე თურმეობითის ფორმები წარმოების ძირითად ნორმად იქცა. მეორე მხრით, საშუალო საუკუნეთა ქართულის მასალების მიხედვით, დაემტკიცებია ტიპი საანალიზო კონსტრუქციისში უფრო გვიან უნდა ჩნდებოდეს, ვიდრე დაემტკიცებინა. იგი ძირითადად შესამჩნევი ხდება XVIII საუკუნიდან. ამის გამო შეიძლება -ებია

მიგვეჩნია -ებინა-საგან მომდინარედ (დაემტკიც-ები-ნ-ა→დაემტ-  
ციც-ები-ა; შდრ. გააკეთებ-ინ-ა — გააკეთებ-ი-ა), ანდა შეიძლება  
ორივე ერთდროული წარმონაქმნი იყოს. -ებია ტიპის ფორმები  
-ებინა-სთან შედარებით ძალიან იშვიათია, იგი თანამედროვე სა-  
ლიტერატურო ქართულში დიალექტიზმადაა ჩათვლილი.

-ებინა || -ებია დაბოლოებების პარალელური ხმარება დღესაც  
გვხვდება დიალექტებში. დასავლურ დიალექტებში -ებია სუფიქსი-  
ანი ფორმები ფართოდაა გავრცელებული, მაშინ როცა აღმოსავ-  
ლურში მსგავსი შემთხვევები იშვიათია.

მეორე თურმეობითის -ებინა დაბოლოებაში -ები იგივე ოდე-  
ნობა ჩანს, რაც შესაბამისი პირველი თურმეობითის -ები: -ებ თემის  
ნიშანია, ი — ნაკვთისა. შდრ. დაუტოვ-ებ-ი-ა — დაეტოვ-ებ-ი-ნა. ამ  
უკანასკნელში გასარკვევია ნ-ს რაობა.

შესაძლებელია, ეს ნ უკავშირდებოდეს კაუზატივისეულ ნ თან-  
ხმოვანს ანდა წარმოადგენდეს I თურმეობითის გაუტაცებია || გაუ-  
ტაცნია ფორმათა კონტამინაციის შედეგს.

მართალია, -ებ სუფიქსიან პირველ თურმეობითზე დაყრდნო-  
ბილი მეორე თურმეობითის წარმოება ნორმალური ახალი სალიტერა-  
ტურო ქართულისათვის, მაგრამ დღემდე კიდევაც შემორჩენილი  
აქა-იქ ამ ზმნათა არქაული ფორმები, რომელთა ხმარების შემთხ-  
ვევები უფრო ხშირია საშუალო საუკუნეთა ქართულში, ვიდრე შემ-  
დგომ პერიოდში. ეს კი ცხადყოფს, რომ საშუალო საუკუნეებში ქარ-  
თული სალიტერატურო ენის ნორმების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ  
მთლიანად არ იყო დამთავრებული.

XIX—XX სს. მწერლობაში არქაული ფორმები შედარებით  
იშვიათია. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს:

ლუარსაბს ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ (ილია).

ლოსაბერიძეს ვუთხარი, მისთვისაც განეზიარა საიდუმლო (ი. გოგებ.).

ამ ყაზახს... ძალდატანება მოეწადინა (ა. ყაზბ.).

მთებს ჩრდილოები წამოეყენათ (ვაჟა).

არ დამეჭერა, ახლა ცოცხალი გეყოლებოდი (ე. ნინოშ.).

ვერც მე მოვასწარი მომეფიქრა (პ. ლომთ.).

გადაწვივით არ დაგვეყოვნა (ქ. ბაქრ. თარგმ.).

[მოურავმა] სთხოვა, ენება შუამდგომლად მისვლა (ვ. ბარს.).

ხომ დალუპავდა [კოწია თებროს], რომ მოენდომა (ლ. მეტრ.).

ზოგს ჯობი მოემარჯვა (ხ. შანშ.).

დიენისათვის ზურგი მიეყუდა სიდონიას (ა. ერ.-ხოშტ.).

მერე მოენდომე, მენიშნა, რომ არაფერი მესმის (დ. კლდ.).

ზურაბს... წინასწარ ჩაესაფრა მკვლელნი (ხ. ქვარ.).

[ბორა] ფრინველთ გამომეძევათ გაუტანლობისათვის (თ. რაზიკ.).

ახი იყო, რომ არ შემეწყალა... ეს კაცი (ა. ფურც.).

იძულებული ვიყავი ხელი გამეწოდა (ს. კლდ.).

არ უნდა გამომეცხადა ჩემი განზრახვა (ლ. არღაზ.).

ყველა ცდილობდა ტურიკო თავისკენ გადაებირა (ი. ელევთ.).

ქართველ ერს არ შეეძლო [ეს] დაევიწყა (გ. ქიქ.).

იქ მოსულიყო ოფელია და მოეგროვა ჭინჭარ-ყაყაჩო (ი. მაჩაბ. თარგმ.).

ხათრიანობას ამჩნევდა, უნდოდა გაეთამამა (მაჩ).

დასახელებული მაგალითების ანალიზი ერთხელ კიდევ ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მეორე თურმეობითის უსუფიქსო წარმოება ახასიათებს უმეტესად აღმოსავლურ კილოებს და იქიდან გამოსული მწერლების ენას. ამათი ანალოგიით უნდა აიხსნას მსგავსი ფორმების არსებობა სხვა კუთხის მწერალთა ნაწერებში. გარდა ამისა, დღეს საანალიზო კონსტრუქციაში არქაული წარმოების გაცოცხლება ზოგჯერ ლექსის თავისებურებითაც ჩანს გამოწვეული. მეორე მხრით, მეორე თურმეობითში -**ეზინა** დაბოლოებიანი ფორმების მეტი გავრცელება უსუფიქსო წარმოებასთან შედარებით შეპირობებული უნდა ჩანდეს შემდეგი გარემოებით: როგორც ცნობილია, გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითი სავსებით ემთხვეოდა ე- პრეფიქსიან ზმნათა ნამყო ძირითადს. ასეთი ომონიმური ფორმების გასარჩევად ენამ თურმეობითი მეორისათვის გამოიყენა პირველი თურმეობითის ფუძე -**ეზინა** დაბოლოებით<sup>9</sup>.

გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითს უკავშირდება -ნ სუფიქსის ხმარების საკითხი. ეს სუფიქსი ზოგჯერ XIX—XX საუკუნეების სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება (ამ მხრივ შესამჩნევად არ სხვაობენ ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები, მხოლოდ პოეზიაში გვხვდება იგი ძალზე მცირე რაოდენობით), მაგრამ განსხვავებული სიხშირით მოიხმარება დიალექტებში.

ნარიანი წარმოება დამახასიათებელია მეტწილად აღმოსავლური კილოებისა და, შესაბამისად, ამ კუთხის მწერალთა ენისათვის, დასავლურ დიალექტებში კი იგი შედარებით უფრო ნაკლებად იჩენს თავს. სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეული მწერლის ენისა და დიალექტების შესწავლისას ჩამოთვლილი ან გაანალიზებულია თურმეობითი მეორის ნარიანი ფორმები. საილუსტრაციო მაგალითები ჩვენც შეგვიძლია დავიმოწმოთ სალიტერატურო ქართულიდან:

<sup>9</sup> ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება..., გვ. 71.

მინდოდა გამომეცადნა ჩემი თავი (გ. ერისთ.).  
 ერთხელ ფარეშებს „ტირილობია“ ეთამაშნათ (აკაკი).  
 მღვდელს უნდოდა... განძეულობა... მიემალნა (ი. გოგებ.).  
 დიტოს უთხრეს, რომ... ეყიდნა „აზბუკა“ (გ. წერეთ.).  
 რაინდთა წესია ჯერ მეკითხნა (ი. მაჩაბ. თარგმ.).  
 წარღვნა მაინც მოსულიყო, რომ წაველეკნეთ (ა. ყაზბ.).  
 ერთ მღვდელს... ჯვარი დაეწერნა რძალ-მშლისათვის (ე. გაბაშ.).  
 [მამას] გული გადაედუნა (ი. ევდ.).  
 გოგლიასაც გაეხადნა ტანისამოსი (თ. რაჭიკ.).  
 [შიშუნვარებს] გვირგვინი უნდა მოეხადნათ მისთვის (შ. დად.).  
 მნათეს ეტყობოდა პირი იმ დილით მოეპარსნა (მელან.).  
 ანანო... ცდილობდა მიეზიდნა ქალები (ა. ერ.-ხოშტ.).  
 [მარაკოს] მოებუღნა თავისი ყვითელი ბაღდადი (ლ. არდაზ.).  
 პირს ბუნებრივი გამოსახულება დაეკარგნა (ი. აგლ. თარგმ.).  
 მოყმეები მთხოვდნენ, რომ დაშავებულნი მენახნა (პ. კაკაბ.).  
 სეიდას... თხები გაერეკნა (დ. კასრ.).  
 ქალსა სწყუროდა ეამბნა თავისი ნაღველი (რ. ერისთ.).  
 არლოვს დოინჯი შემოეყარნა... თვალები დაექუიტნა (მ. ჯავახ.).  
 ბერიკას თვალები მოეხუჟნა (გ. შატბ.).  
 მტევნების სიმრავლეს... ფოთლები დაეფარნა (მახ. მრევ.).  
 მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი (ილია).  
 [ამან] მაძულა მეოთხე წიგნის გამოქვეყნება გამებედნა (ივ. ჯავახ.).

მეორე თურმეობითში დიალექტური ნ სუფიქსი გვევლინება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა, ჩვეულებრივ, დღეს -ებ თემატური ნიშანია მოსალოდნელი:

მაიორს დავეპატიქნე (გრ. ორბ.).  
 გარემოებამ ნება აღარ მისცა [ეს] ეკისრნა (ილია).  
 კვიცს... ამ ოთხ თვეში ბევრი მოემატნა (ვუა).  
 მეზობლებს ცილი დაეწამნათ იმ კაცისათვის (ხ. მგალობ.).  
 ტურიკო ცდილობდა არ ეყურნა მომაცდევისათვის (ი. ელფთ.).  
 ხალხის ნაკადს ზურია... გაეტაცნა (რ. ჯაფარ.).  
 აღათისაც მხარზე... „პოლსაპოქები“ გადაეკიდნა (ნ. ნაკაშ.).  
 სომხები იძულებული შეიქმნენ ელაღატნათ... შჯულისათვის (კ. კეკ.).  
 მიქელა მზად იყო დავევიწყნა უბედურება (მ. ზანდ.).  
 მეორეს... უნდა ეპასუხნა სტუმრისათვის („საქ. ქალი“).

ნარიანი ფორმები დასახელებულ ნაკვთში ხშირად გვხვდება ს. მგალობლიშვილის, მ. ჯავახიშვილის, ილიას, გ. წერეთლის, ლ. ქიაჩელის, მელანიას, ეკ. გაბაშვილის, შ. არაგვისპირელის ა ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ლ. მრელაშვილის, კ. გამსახურდიას და სხვათა ნაწერებში.

მეორე თურმეობითში ნ სუფიქსი მიჩნეულია გარკვეული ფუნქციის მატარებლად, კერძოდ, „გარდამავალი ზმნის თურმეობი-

თი მეორის გასარჩევად შესაბამისი დინამიკური ვნებითის ნამყო ძირითადისაგან ენამ სადიფერენციაციო საშუალებად გამოიყენა **ნ** ინფიქსი და მოქმედებითი გვარის ზმნებში გაატარა, თუმცა კი არასისტემებრივად და არა ყველა ტიპის ზმნაში<sup>10</sup>. მაგრამ ასეთ ვითარებაში - **ნ** სუფიქსის ხმარება არაა აუცილებელი. შემთხვევით დამსგავსებული სხვადასხვა ნაკეთის ფორმათა გარჩევა ადვილად ხერხდება კონტექსტით. ამავე დროს, თუ განმასხვავებელი საშუალებაა ეს **ნ**, ყოველთვის უნდა შეგვეძლოს მისი გამოყენება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ზმნათა უმეტესობა (**გაეშვა**, **დაეცვა**, **გაეცა**, **დაერტყა**, **დაეკრა** და ა. შ.) **ნ** სუფიქსს ვერ იჩენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისევე კონტექსტი რჩება ერთადერთ გასარჩევ საშუალებად.

ამგვარად, თურმეობით მეორეში ნარიანი ფორმები, რომლებიც გავრცელებულია უმთავრესად ქართლურსა და კახურში და აქედან შემოაქვთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, დიალექტურია<sup>11</sup>.

XIX—XX სს. სალიტერატურო ქართულის მასალების მიხედვით, ნარიანი ფორმები უფრო ხშირადაა ნახმარი თურმეობით მეორეში, ვიდრე თურმეობით პირველში. ამ უკანასკნელში ნარის გამოვლენას თურმეობითი მეორის გავლენით ხსნიან<sup>12</sup>. მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ თურმეობით პირველში **ნ** თურმეობითი მეორის გაჩენის თანადროულად ვლინდება. ამდენად, ძნელია თქმა, რომ იგი აქ მეორე თურმეობითის ანალოგიით იყოს გაჩენილი<sup>13</sup>.

გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითში თავისებურად იწარმოება -**ევ** სუფიქსიანი ზმნები. ეს თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: -**ევ** სუფიქსი მეორე სერიაში -**ივ**-ად იქცევა, ამავე დროს იკარგება მისი თანხმომავანი **ვ** და რჩება ხმოვანი **ი**. შესაბამისად, **ვ** დაკარგულია მეორე თურმეობითშიც:

ამაზე თავი უნდა შემტვრიოა (რ. ინან.).

ღამე ამ სოფელში უნდა გაგვეთია (გ. ნატრ.).

10 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 454.

11 ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოებას ერთი თავისებურება..., გვ. 77-78; ვ. თოფურია, ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, 1964, გვ. 25; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 222-223.

12 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 455; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

13 ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება..., გვ. 72.



ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ (ილია).

ზინაბს ტოტი გადმოეწია (პ. ჩხიკვ.).

გარსევანმა აღარ იცოდა, როგორ გაეთრია დრო (ს. კლდ.).

ფოთლებს გარეთ ვერ გამოედწიათ (გ. შატბ.).

თედოს მარცხენა ხელი... კისერზე მოეხვია (ლ. მრელ.).

სპეციალურ ლიტერატურაში -ევ სუფიქსის ვ თანხმოვნის დაკარგვის მიზეზად მიჩნეულია, ერთი მხრით, მეორე კავშირებითის ნაკეთის ნიშანი **ო**, რომლის წინ **ვ**, რა თქმა უნდა, ვერ გამოითქმის (ვინის დაკარგვა შემდეგ განზოგადებულა და მეორე სერიის ყველა ნაკეთზე გავრცელებულა)<sup>14</sup>; მეორე მხრით, სუფიქსისეული **ვ** თანხმოვანი იკარგებოდა ორ ხმოვანს (**ი** და **ა**) შორის ძველ ქართულ სალიტერატურო ენაშიც<sup>15</sup>. მიუხედავად ამისა, არაიშვიათია, რომ აღმოსავლური კილოებიდან გამოსული მწერალი **ვ**-ს ხმარობდეს ნამყო ძირითადად და ბრძანებითში. ეს **ვ** შემონახული იყო საშუალო საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში და გვხვდება დღესაც ზოგ აღმოსავლურ დიალექტში<sup>16</sup>.

რადგანაც გარდამავალი ზმნის მეორე თურმეობითი თავისი წარმოებით ემთხვევა შესაბამისი ფორმის პრეფიქსიანი ვნებითის ნამყო ძირითადად და ამ უკანასკნელში -ევ სუფიქსი -ივ-ის სახით აქა-იქ კიდევაც შენარჩუნებული, ამდენად, იგი თურმეობით მეორეშიც გამოვლინდება, თუმცა იშვიათად:

მამა-თქვენს... არქიელიც უნდა მოეწვივა (ილია).

ფეხის გადადგმა არ შეიძლებოდა ისე, რომ... აქეთ-იქეთ არ ეთრიათ (ილია).

კობამ საჭიროდ დაინახა, ღამე ეთივა იმისათვის (ა. ყაზბ.).

სად უნდა გადამეხდინო ჩემი ძლიერი ფული (ლ. არდაზ.).

შენ რომ არ გერჩივა..., უფროსს არ მივმართავდი (შ. არაგვ.).

აქამდის მიედწივა მის სახელს (მელან.).

ბეკენგორს ჩამოგეწივათ (ბაჩ.).

რომ მიგეკვლივათ, ბუნება... გაზაფხულს მიპავადა (ბაჩ.).

ღორს რომ არ მიეტოვა, [ბიჭმა] წამოიძახა (დ. შენგ.).

საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. XIX—XX სს. სალიტერატურო ქართულში ზემოაღნიშნული არქაული ფორმები ხშირად აქვთ ნახმარი ილიას, ა. ყაზბეგს, ბაჩანას და სხვებს. გარდა ამისა, დასახელებულ ნაკეთში -ევ სუფიქსიანი

14 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 418.

15 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 207.

16 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 418; ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, 1937, III, გვ. 54.

ზმნების -ივ ფორმანტი ზოგიერთი მწერლის (ვ. ბარნოვის, მ. ჯავახიშვილის, ლ. მრელაშვილის, ი. ევდოშვილის, მელანიას...) ნაწერებში ზოგჯერ ნართით არის გართულებული:

იგიც მიეწვივნათ დასამშვენებლად (ვ. ბარნ.).  
თეიმურაზს თითი მალა არ აეწვივნა (მ. ჯავახ.).  
ბატონი ცდილობდა ის პირობა დაერღვივნა (მ. ჯავახ.).  
საცალო აპურის დოლურას ჩაეხვივნა (ს. შანშ.).  
ნიკოს... გვერდი აეჭვივნა შენი მიწისათვის (ლ. მრელ.).  
მიეჭყლიტა მიღებს... ფარები, რომ გაენგრივნა (ლ. მრელ.).  
როგორ დამედწვივნა თავი (ი. ევდ.).  
მეარღნეებს დრო შეერჩივნათ (ი. ევდ.).  
მან შესძლო დაეტივნა... ძალა სიყვარულისა (ვ. ბარნ.).

-ევ სუფიქსიანთა ჯგუფიდან შეიძლება ცალკე გამოვყოთ ართმევს, არქმევს ზმნათა მეორე თურმეობითი. ისინი ახალ სალიტერატურო ქართულში უჩვენებენ ასეთ პარალელურ ფორმებს: წაერთმია||წაერთმია||წაერთმია||წაერთმია; დაერთმია||დაერთმია:

1. ა. ქალაქი იწვა ახალ ნაბანი, ვერ წაერთმია ძილისთვის თავი (ირ. აბაშ.).

ის მალონებდა, რა მიმერთმია მისთვის (ვ. ბარნ.).

სემინარიელებს განცხადება მიერთმიათ (ბ. ჩხ.).

ბ. შეპშურებოდა იმისთვის ბედსა და წაერთმია... შვილი (ილია).

მინდოდა, მიმერთმია ორი მანეთი (ილია!).

გ. მერჩივნა, მეორეც ჩამომერთმია (ვ. ბარნ.).

დ. მიჩვენენ შენთვის ჩამომერთვა მამულები (ვ. ბარნ.).

ბერძნები ყოველ ღონეს ხმარობდნენ... რათა წაერთვათ მათთვის ლავრა (ს. კეკ.).

ამავე წესით უნდა ჩამოერთვათ იარაღი (ალ. ქუთათ.).

2. ა. აღარ ვიცოდი, [რა] დამერთმია (მ. ჯავახ.).

ხომ არ აჯობებდა, სცენარისათვის დაგვერქმია პირველ სერია

(გ. ფანჯია.).

უკეთესი იყო, ბავშვისათვის სხვა სახელი დაერქმია (ო. იოს.).

ბ. ჩემი მოთხრობის გმირისათვის პეტრე რომ დამერქვა — ეს იქნებოდა ქართველი (დ. კლდ.).

მეშინოდა, დამერქვა ამ გრძობისათვის რაიმე სახელი (ქ. ბაქრ. თარგმ.).

მე მინდოდა, მფრინავი ბრიადა დაგვერქვა (ლ. მრელ.).

ჩამოთვლილი პარალელური ფორმებიდან წაერთმია ახალი სალიტერატურო ქართულის მიხედვით არქაიზმია, ამდენად, მიუღებელია; ასევე უარსაყოფია წაერთმია, როგორც დიალექტური. წაერთვა, დაერქვა უცვლელად იმეორებს ვნებითი გვარის ზმნის ნამყო ძირითადს (მდრ. წაერთვა, დაერქვა ის მას და წაერთვა, და-

ერქვა მას ის); წაერთმია, დაერქმია ფორმისათვის კი ამოსავალი ჩანს შესაბამისი თურმეობითი პირველი: ართმევს, არქმევს — წაურთმევია, დაურქმევია — წაერთმია, დაერქმია. სალიტერატურო ქართულში მოსალოდნელია დარჩეს ეს უკანასკნელი სახეობა, რამდენადაც გაბატონებულია დღეს<sup>17</sup>, ისევე როგორც აგებულებით მათი მსგავსი ფორმები: ჩაეცმია, ექმია. დანარჩენი (არქაული თუ დიალექტური) ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერლობის ენისთვისაა დამახასიათებელი.

ორიოდე შემთხვევაში მეორე თურმეობითის ეთქვა-ს მნიშვნელობით გამოიყენება ეთხრობია. ეს უკანასკნელი ემყარება თურმეობითი პირველის თავისებურ წარმოებას — უთხრობია:

რომ მე თ ხ რ ო ბ ი ა, მგონი... მაკოცებდა კიდევ (ე. ნინოშ.).

სალომეს ე თ ხ რ ო ბ ი ა, ძალი არ დაყეფს მის ზედსაო (გ. ნაკაშ.).

მოივლის ზმნის თურმეობითი მეორე ემყარება ვნებითი გვარის ნამყო ძირითადად, მაგრამ ამასთან ერთად მას ენაცვლება სხვა ფუძისაგან ნაწარმოები ფორმა: მოეარა. შესაბამისად თურმეობით პირველში ეგვევ ზმნა წარმოდგენილია მოუველია||მოუარია ფორმებით:

[ამით] რა მანძილი უნდა გაეველოთ ზალიკოს ცოლ-შვილს (ი. ევდ.).

ჯერ ხევი უნდა გამოგველოთ (გ. წულღისკ.).

ამ დილით მეზობლის ბიჭებს უნდა გამოეველოთ (გ. ნატრ.).

შდრ.:

საჭირო იყო კაენას ყველა სოფელი დაეარა (უიარ.).

ისინი მზად იყვნენ... დავლური ჩამოეარათ (დ. კასრ.).

რახმები იძულებული გახდნენ... ქელი გადაეარათ (ა. ქუთათ.).

როგორც ეთხრობია (თურმ. I უთხრობია), ისე მოეარა (თურმ. I მოუარია) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მკვეთრად დიალექტური (დასავლური) ფორმებია.

ამრიგად, ახალ სალიტერატურო ქართულში გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითის წარმოება ძველ ქართულთან შედარებით გართულდა, უჩვენებს ფორმათა სხვადასხვაობას. ამ მრავალფეროვნებას ქმნის როგორც ახალ, ისე არქაულ ან ანალოგიურ და დიალექტურ წარმოებათა თანაარსებობა. კერძოდ, ნამყო ძირითადის გარდა, თურმეობითი მეორე ამოსავალ ფუძედ იყენებს -ებ ნიშნთან

<sup>17</sup> საშუალო საუკუნეთა ქართულის მასალებშიც გვხვდება წაერთმია და არა წაერთვა — „ზოგი... თათრისათვის წაერთმიათ“ (საბა); „ყმა... გამოერთმია“ (საეკლ. საბუთ.).

თურმეობით პირველსაც და წარმოდგენილია პარალელური (-ები-  
ნა||-ებია) დაბოლოებებით; ამავე დროს აქა-იქ ჯერ კიდევ შემორ-  
ჩენილია არქაული წარმოება (მოეგონა, მოეფიქრა...), რომელშიც  
ზოგჯერ -ნ სუფიქსიც იჩენს თავს თურმეობითი მეორის სხვა ნა-  
რიან ფორმათა გვერდით. ამის გამო, ახალ სალიტერატურო ქარ-  
თულში ერთი და იგივე ზმნა შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვაგვარი  
სახეობებით: დაეტოვა||დაეტოვნა||დაეტოვებია||დაეტოვებინა. ამათ-  
გან პირველი სამი ფორმა უმართებულოა (არქაიზმია ან დიალექ-  
ტიზმი), თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმად და-  
მკვიდრებულია დაეტოვებინა ტიპი.

-ევ სუფიქსიან ზმნათა უმრავლესობისათვის დღეს ძირითადია  
ნამყო ძირითადის ფუძეზე დამყარებული თურმეობითი მეორე  
(გაეთია...), ხოლო რამდენიმე შემთხვევაში აწმყო-მყოფადის თემა  
ზღვბა ამოსავალი (წაერთმია, დაერთმია...).